ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
საკრედიტო ბარათის ხელშეკრულება # , [წელი] წლის [რიცხვი, თვე]

საკრედიტო ბარათის საპროცენტო განაკვეთი	
საკრედიტო ბარათის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	არ არის განსაზღვრული
საკრედიტო ბარათის წლიური საპროცენტო განაკვეთი:	არ არის განსაზღვრული
საკრედიტო ბარათის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	1.პროცენტი ციფრებით % - **ბანკის** ბანკომატიდან **საკრედიტო ბარათის** თანხის ათვისების შემთხვევაში; 2.პროცენტი ციფრებით % - სავაჭრო ობიექტიდან **საკრედიტო ბარათის** თანხის ათვისების შემთხვევაში
საკრედიტო ბარათის ფინანსური ხარჯები	
შენატანები განისაზღვრება ათვისებული თანხის, საკრედიტო ლიმიტის, დაფარვის ვადების ან/და ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს ოდენობის ცვლილების შესაბამისად.	
ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო:	
თანხის ბანკომატში განაღდების საკომისიო: *[უნდა ამოიშალოს თუ ასეთი საკომისიოს არ ითვალისწინებს]*	*[თანხა ციფრებით ან პროცენტი]* ლარი **ბანკის** ბანკომატში თანხის განაღდების საკომისიო, *[თანხა ციფრებით ან პროცენტი]* სხვა ბანკის ბანკომატში თანხის განაღდების საკომისიო.
უნაღდო ანგარიშსწორების საკომისიო: *[უნდა ამოიშალოს თუ ასეთი საკომისიოს არ ითვალისწინებს]*	*[თანხა ციფრებით ან პროცენტი]* ლარი გადარიცხვის/*[თანხა ციფრებით ან პროცენტი]* ლარი **საკრედიტო ბარათიდან** თანხის გატანის ტოლფასი ოპერაციის საკომისიო (არ მოიცავს საკრედიტო ბარათით სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში სარგებლობის საკომისიოს).
სხვა ხარჯ(ებ)ი: *[უნდა ამოიშალოს თუ ასეთ ხარჯებს არ ითვალისწინებს]*	*[თანხა ციფრებით]* ლარი
სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია	
საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტი:	*[თანხა ციფრებით]* ლარი
კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა ბანკის ბანკომატიდან თანხის ათვისების შემთხვევაში:	*[თანხა ციფრებით]* ლარი დაანგარიშებული **საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების 48 (ორმოცდარვა) თვიან პერიოდზე
კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა სავაჭრო ობიექტიდან თანხის ათვისების შემთხვევაში:	*[თანხა ციფრებით]* ლარი დაანგარიშებული **საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების 48 (ორმოცდარვა) თვიან პერიოდზე
საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადა:	*[მიეთითოს კონკრეტული თარიღი]*
საკრედიტო ბარათის ხელშეკრულების მოქმედების ვადა:	*[მიეთითოს კონკრეტული თარიღი]* , მაგრამ ყველა შემთხვევაში, სანამ სრულად არ იქნება შესრულებული კლიენტის ვალდებულებები

საკრედიტო ბარათის ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო:	0%
საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პირგასამტეხლო:	კლიენტის მიერ საკრედიტო ლიმიტის გადახარჯული თანხის წლიური 48% დაანგარიშებული გადახარჯვის ყოველ კალენდარულ დღეზე
ვადაგადაცილების დღიური პირგასამტეხლო:	ყოველი დარღვევისთვის ათვისებული კრედიტის ძირი თანხის ნაშთის - 0.27%, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, კლიენტის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. შეტყობინების აღნიშნული ვადები არ მოქმედებს თუ ცვლილება: - ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ; ან - არ იწვევს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას ან/და სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის გაზრდას.

კლიენტს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით. ასევე, დისტანციური მომსახურების ცენტრში, სატელეფონო ზარის საშუალებით: 032 2 55 55 00

კლიენტის ხელმოწერა/ ----------

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდსა - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - **032 2 406 406**

საკრედიტო ბარათის ხელშეკრულება
(ახალი ბარათი)

, საქართველო, [წელი] **წლის** [რიცხვი, თვე]

1. წინამდებარე **ხელშეკრულების** (შემდგომში - **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულება**) მხარეებს წარმოადგენენ: სს „ლიბერთი ბანკი“ (ს.ნ. 203828304, იურიდიული/საკორესპონდენტო მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74; ტელეფონი: 032 2 55 55 00 , ელ-ფოსტა: info@libertybank.ge) (შემდგომში - **ბანკი)** და **კლიენტის** სახელი და გვარი (პ.ნ. , მისამართი: , ტელეფონი: , ელ-ფოსტა:) (შემდგომში - **კლიენტი**) წარმომადგენლის შემთხვევაში: წარმოდეგენილი სახელი და გვარი (პ.ნ.) მიერ.
2. წინამდებარე **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულების** საგანს წარმოადგენს **კლიენტის საკრედიტო ბარათით** (შემდგომში „**საკრედიტო ბარათი**“) მომსახურება, რაც შეზღუდვის გარეშე გულისხმობს **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** წინამდებარე **ხელშეკრულების** და მისი დანართების შესაბამისად კლიენტის **საკრედიტო ბარათის ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტის** დაშვებას, საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის წესების განსაზღვრას და კლიენტის მიერ აღნიშნული **საკრედიტო ბარათით** სარგებლობისას ათვისებული კრედიტის თანხის, მასზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთის, საკომისიო(ებ)ის და სხვა ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულების გადახდის წესების განსაზღვრას.

3. **კრედიტის** ძირითადი პირობები შემდეგია:

3.1.	**საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტი**: თანხა ციფრობრივად ([თანხა სიტყვიერად]) ვალუტა
3.2.	**საკრედიტო ბარათის მიზნობრიობა**: სამომხმარებლო
3.3.	**საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების ვადა: *[მიეთითოს კონკრეტული თარიღი]* **საკრედიტო ლიმიტის** ვადის ამოწურვისას, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად, თავისი გადაწყვეტილებით, არაერთჯერადად, გაზარდოს **საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების ვადა, მაგრამ ყოველ ჯერზე, არაუმეტეს დამატებით 48 (ორმოცდარვა) თვის ფარგლებში თუ **საკრედიტო ლიმიტის** ვადის ამოწურვისას ან/და **საკრედიტო ლიმიტის** ვადის გაგრძელების შესახებ **ბანკის** მიერ უფლების რეალიზების მომენტისთვის სრულად იქნება დაფარული (განულებული) ათვისებული **საკრედიტო ლიმიტი**, დარიცხული **ყოველთვიური საკომისიოები** და **საკრედიტო ბარათიდან** გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები.
3.4.	**საკრედიტო ბარათის ხელშეკრულების** მოქმედების ვადა: *[მიეთითოს კონკრეტული თარიღი]* , მაგრამ ყველა შემთხვევაში, სანამ სრულად არ იქნება შესრულებული **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **კლიენტის** ვალდებულებები.
3.5.	**საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის** ათვისების ვადა (პერიოდი რომლის განმავლობაშიც **კლიენტმა** შეიძლება ისარგებლოს **კრედიტით ხელშეკრულებაში** მოცემული პირობებით): *[მიეთითოს კონკრეტული თარიღი]* თუ **ბანკი** სხვაგვარად არ გადაწყვეტს.
3.6.	**საპროცენტო განაკვეთის** ტიპი: არ არის განსაზღვრული
3.7.	**საკრედიტო ბარათის** წლიური **საპროცენტო განაკვეთი**: 0 (ნოლი) %
3.8.	**ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო:** *[თანხა ციფრებით ან პროცენტი]* ლარი
3.9.	**საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის** ათვისების წესი: **საკრედიტო ლიმიტი** დაიშვება **საკრედიტო ბარათის ანგარიშზე:** (ა) *[მიეთითოს ანგარიშის ნომერი] ან (ბ) კერძოდ,* **კლიენტის ანგარიშზე**, *რომელსაც* **ბანკი** *თავისი შეხედულებით გადაწყვეტს* **კრედიტის** ათვისება **საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს **საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების ვადის განმავლობაში, მათ შორის აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შესაძლებელია **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში ათვისებული და **საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების ვადის ამოწურვამდე დაფარული **საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის** თანხის ხელახალი ათვისება.
3.10.	**საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის** დაფარვის წესი: თუ **დაანგარიშების თარიღის** დღის ბოლოსთვის სრულად ან ნაწილობრივ ათვისებული იქნება **საკრედიტო ლიმიტი** (ანუ არ იქნება **საკრედიტო ლიმიტი** სრულად დაფარული), **ნულოვანი საკომისიოს პირობით** სარგებლობის მიზნით **კლიენტი** ვალდებული იქნება ყოველი თვის რიცხვში (შემდგომში - **გადახდის თარიღი**) გადაიხადოს (**გადახდის თარიღის** დღის ბოლომდე (24 საათის ჩათვლით) **საკრედიტო ბარათის ანგარიშზე** განთავსებული ჰქონდეს შესაბამისი ოდენობით თანხა) **დაანგარიშების თარიღის** დღის ბოლოსთვის **საკრედიტო ლიმიტიდან** ათვისებული ოდენობის თანხა ან **კლიენტი** ვალდებული იქნება მის მიერ არჩეული **გადახდის თარიღის** მომდევნო კალენდარულ დღეს (შემდგომში - **გადახდის თარიღის მომდევნო დღე**) გადაიხადოს (**გადახდის თარიღის მომდევნო დღის** ბოლომდე (24 საათის ჩათვლით) განთავსებული ჰქონდეს **საკრედიტო ბარათის ანგარიშზე**) **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო**, რომელსაც ასეთის არსებობის შემთხვევაში დაემატება **საკრედიტო ბარათაზე** დარიცხული გადასახდელები (მათ შორის და არამხოლოდ, წინა **გადახდის (დაფარვის) პერიოდ(ებ)ში** დარიცხული **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო**, ვადაგადაცილების პირგასამტეხლო და ა.შ.); **დაანგარიშების თარიღი** - თარიღი, რომელიც 25 (ოცდახუთი) დღით ადრე წინ უსწრებს **გადახდის თარიღის მომდევნო დღეს** და რომლის დროსაც განისაზღვრება მომდევნო **გადახდის თარიღში** **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** გადასახდელი თანხების ოდენობა;

	საკრედიტო ლიმიტის მოქმედების პერიოდში **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ვადაზე ადრე დაფაროს ათვისებული **საკრედიტო ლიმიტი** სრულად ან მისი ნაწილი **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობებისა და წესების შესაბამისად; **კლიენტი** ვალდებულია **საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების ვადის ბოლოს სრულად დაფაროს ათვისებული **საკრედიტო ლიმიტი;** დაუშვებელია **საკრედიტო ლიმიტიდან** ასათვისებელი თანხის ხარჯზე **საკრედიტო ლიმიტის** დაფარვა. თუ **საკრედიტო ბარათით** სარგებლობისას გადაჭარბებული იქნება **საკრედიტო ლიმიტის** მოცულობა, **კლიენტი** ვალდებულია გადახარჯვის წარმოშობისთანავე, დაუყოვნებლივ დაფაროს გადახარჯული თანხა. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს, ხოლო **კლიენტი** ვალდებული იქნება **ბანკის** მოთხოვნის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ სრულად დაფაროს **კრედიტის** თანხა და **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელები.**
3.11.	**კლიენტის** მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა **ბანკის** ბანკომატიდან თანხის ათვისების შემთხვევაში: *[თანხა ციფრებით]* ლარი; მთლიანი გადასახდელი თანხის ოდენობა დაანგარიშებულია **საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების 48 (ორმოცდარვა) თვიან პერიოდზე და შეიცვლება ათვისებული **საკრედიტო ლიმიტის**, **საკრედიტო ლიმიტის** დაფარვის ვადების, **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** ოდენობის ან/და ფინანსური ხარჯების ცვლილების შესაბამისად.
3.12.	**კლიენტის** მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა სავაჭრო ობიექტიდან თანხის ათვისების შემთხვევაში: *[თანხა ციფრებით]* ლარი; მთლიანი გადასახდელი თანხის ოდენობა დაანგარიშებულია **საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების 48 (ორმოცდარვა) თვიან პერიოდზე და შეიცვლება ათვისებული **საკრედიტო ლიმიტის**, **საკრედიტო ლიმიტის** დაფარვის ვადების, **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** ოდენობის ან/და ფინანსური ხარჯების ცვლილების შესაბამისად.
3.13.	**ყოველთვიური საკომისიო:** *[თანხა ციფრებით ან პროცენტი]* ლარი
3.14.	**საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის** დამტკიცების/გაცემის **საკომისიო**: 0
3.15.	სხვა სახის **საკომისიო(ები)**: *[თანხა ციფრებით ან პროცენტი]* ლარი
3.16.	საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში გადამოწმების საკომისიო: 0
3.17.	თანხის **ბანკის** ბანკომატში განაღდების საკომისიო: *[თანხა ციფრებით ან პროცენტი]* ლარი
3.18.	თანხის სხვა ბანკის ბანკომატში განაღდების საკომისიო: *[თანხა ციფრებით ან პროცენტი]* ლარი
3.19.	უნაღდო ანგარიშსწორების საკომისიო: *[თანხა ციფრებით ან პროცენტი]* ლარი საკრედიტო ბარათით სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში სარგებლობის საკომისიო; *[თანხა ციფრებით ან პროცენტი]* ლარი გადარიცხვის/ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი ოპერაციის საკომისიო.
3.20.	**ანგარიშიდან** თანხის განაღდების საკომისიო:*[თანხა ციფრებით ან პროცენტი]* ლარი **ბანკის**/სხვა ბანკის სერვის ცენტრებში ბარათიდან თანხის განაღდების საკომისიო
3.21.	**საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის** გადახარჯვის **პირგასამტეხლო: კლიენტის** მიერ **საკრედიტო ლიმიტის** გადახარჯული თანხის წლიური 48% დაანგარიშებული გადახარჯვის ყოველ კალენდარულ დღეზე
3.22.	**კრედიტის თანხის** ან/და **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** გადახდის ვადაგადაცილების დღიური **პირგასამტეხლო**: ათვისებული **კრედიტის** ძირი თანხის ნაშთის - 0.27% ყოველ კალენდარულ დღეზე
3.23.	**კრედიტის თანხის** ვადაზე ადრე დაფარვის **პირგასამტეხლო**: 0%
3.24.	სხვა სახის **პირგასამტეხლო(ები)**: 0%
3.25.	გადასახდელი თანხის (შენატანის) ოდენობა: შენატანები განისაზღვრება **საკრედიტო ლიმიტი**დან ათვისებული თანხის ან/და დაფარვის ვადების ცვლილების ან/და ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს შესაბამისად.
3.26.	სხვა ხარჯები: *[თანხა ციფრებით]* ლარი
3.27.	**საკრედიტო შუამავლის** საკომისიო: *[თანხა ციფრებით ან პროცენტი]* ლარი
3.28.	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: *პროცენტი ციფრებით %*
3.29.	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: (1) *პროცენტი ციფრებით* % - **ბანკის** ბანკომატიდან **საკრედიტო ბარათის** თანხის ათვისების შემთხვევაში; (2) *პროცენტი ციფრებით* % - სავაჭრო ობიექტიდან **საკრედიტო ბარათის** თანხის ათვისების შემთხვევაში
3.30.	**ხელშეკრულების** 3.1. ქვეპუნქტში მითითებული **კრედიტის თანხიდან** ფინანსური ხარჯების გამოკლებით დარჩენილი თანხა:თანხა ციფრობრივად ([თანხა სიტყვიერად]) ვალუტა), ამასთან ინტერნეტ ბანკით **საკრედიტო ლიმიტის** გააქტიურების შემთხვევაში, მითითებულ თანხას დამატებით გამოკლდება 1 (ერთი) ლარი.
3.31.	**საკრედიტო შუამავალი:** წინამდებარე **ხელშეკრულება** არ არის დადებული **საკრედიტო შუამავლის** მეშვეობით; ან წინამდებარე **ხელშეკრულება** დადებულია საკრედიტო შუამავლის, კერძოდ, *(დასახელება/ სახელი და გვარი; საიდენტიფიკაციო ნომერი ან პირადი ნომერი; რეგისტრაციის მისამართი; საკონტაქტო ტელეფონის ნომერი)* მეშვეობით; **საკრედიტო შუამავალი** წარმოადგენს ან არ წარმოადგენს **ბანკთან** დაკავშირებულ პირს;
3.32.	**უზრუნველყოფა: საკრედიტო ბარათის ხელშეკრულების** დადების მომენტისთვის - საბლანკო, რაც არ გამორიცხავს, რომ შესაბამის მხარეთა შეთანხმებით წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **კლიენტის** ფულადი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დაიდოს შესაბამისი **დაკავშირებული** გარიგებები (იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ხელშეკრულებები და სხვა).
3.33.	<u>**საკრედიტო ბარათით სარგებლობის სპეციფიკური პირობები:**</u>

(ა) **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს თავისი შეხედულებით: (ა.ა) შეწყვიტოს წინამდებარე **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულება** ან/და **საკრედიტო ლიმიტის** მოქმედება და მოთხოვოს **კლიენტს** ფულადი ვალდებულებების ვადაზე ადრე დაუყოვნებლივ შესრულება თუ: 1. **კლიენტი** დაარღვევს **ხელშეკრულებით** (მათ შორის **პირობებით**) ნაკისრ რომელიმე ვალდებულებას, ან/და 2. გაუარესდება **კლიენტის** ფინანსური მდგომარეობა ან/და დადგება მისი (**კლიენტის** ფინანსური მდგომარეობის) გაუარესების საფრთხე, ან/და 3. **ბანკის** შეხედულებით ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვალა (გაუარესდა) საერთო ეკონომიკური მდგომარეობა, ან/და 4) **კლიენტის** მოქმედება მიმართულია **ბანკის** მოტყუებისაკენ, ან/და აღმოჩნდება რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია არასრულია ან/და მცდარია; (ა.ბ) აღადგინოს **საკრედიტო ლიმიტი** (გაუქმების შემთხვევაში), გაზარდოს ან შეამციროს **საკრედიტო ლიმიტის** მოცულობა.

(ბ) თუ **ბანკი** სხვაგვარად არ გადაწყვეტს, **საკრედიტო ლიმიტის** მოქმედება ავტომატურად შეჩერდება (გულისხმობს, რომ **კლიენტი** ვერ შეძლებს **საკრედიტო ლიმიტის** ათვისებას) წინამდებარე **საკრედიტო ბარათით ხელშეკრულების** ფარგლებში ნებისმიერი ფულადი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ხოლო **საკრედიტო ლიმიტი** აღდგება თუ სრულად დაიფარება ფულადი ვალდებულებები და დარღვევა გამოსწორებული იქნება მისი (დარღვევის) წარმოშობიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.

(გ) **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს **საკრედიტო ბარათის** ვადამდე გაუქმება, მხოლოდ იმ შემთხვევში თუ სრულად დაფარავს (მათ შორის ვადამდე) ათვისებულ **საკრედიტო ლიმიტსა** და **ხელშეკრულების** ფარგლებში არსებულ ყველა გადასახდელს/ვალდებულებას (მათ შორის და არა მხოლოდ დარიცხული ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო, პირგასამტეხლო და ნებისმიერი სხვა გადასახდელი) და არ ექნება **ბანკის** წინაშე წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე შესასრულებელი ვალდებულებები.

(დ) წინამდებარე **ხელშეკრულება** ამავდროულად წარმოადგენს **კლიენტის** განაცხადს ანგარიშების გახსნის შესახებ, რომლითაც **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **საკრედიტო ბარათის ანგარიშის** და მიმდინარე მონოვალუტური **ანგარიშის** გახსნის შესახებ (შემდგომში **CashBack-ის ანგარიში**), რომელზეც შესაძლებელი იქნება CashBack-ის სახით მიღებული სახსრების განთავსება. **საკრედიტო ბარათის** CashBack-ის პირობები მოცემულია ასევე **პირობებში**.

(ე) წინამდებარე **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებაზე** არ ვრცელდება **პირობების** 12.2, 12.3 და 12.4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული **საკრედიტო ბარათის** ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს დარიცხვის წესები.

(ვ) **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ბარათზე** განთავსებული საკუთარი სახსრებით (რაც არ მოიცავს **საკრედიტო ლიმიტიდან** ათვისებულ თანხებს) განხორციელებულ ოპერაციებზე ვრცელდება **უნივერსალური ანგარიშის მომსახურების პირობებით** გათვალისწინებული ტარიფები.

4. **კრედიტის** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** დაფარვის თანმიმდევრობა (მათ შორის კრედიტზე საშეღავათო პერიოდში **კრედიტის** ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში) შემდეგია: პირველ რიგში იფარება ხარჯები (მათ შორის და არამარტო საარბიტრაჟო, სასამართლო დავასთან, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები, ზიანის / ზარალის ანაზღაურების თანხები და სხვა), შემდგომ **საკრედიტო ლიმიტის** გადახარჯული თანხა, **საკრედიტო ლიმიტის** გადახარჯულ თანხაზე დაკისრებული **პირგასამტეხლო**, **პირგასამტეხლო**, **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოები, საკომისიო** თანხები, შემდეგ **საპროცენტო სარგებელი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბოლოს **საკრედიტო ლიმიტიდან** ათვისებული თანხა. ამასთან, აღნიშნული რიგითობა განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ და **კლიენტის** წინასწარი თანხმობის გარეშე, შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს.

5. **ბანკის** წინაშე **კლიენტის** ერთდროულად ერთზე მეტი ვადამოსული ფულადი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, როდესაც **კლიენტის ანგარიშზე** განთავსებული თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული (მათ შორის ვადაგადაცილებული) ვალდებულების სრულად შესასრულებლად, ყოველ ჯერზე, ასეთი გარემოების დადგომის დღეს (და არა წინასწარ), სამუშაო დღეებში 17:30 სთ-მდე, ხოლო შაბათს 13:30 სთ-მდე, **კლიენტს** უფლება აქვს, **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესით, **ბანკის** ფილიალისთვის, სერვის ცენტრისთვის მიმართვის გზით, ასევე **ბანკის** ინტერნეტ ბანკის, სატელეფონო ცენტრის საშუალებით (ხოლო ინდივიდუალური მეწარმის, იურიდიული პირის და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ **ბანკის** ფილიალისთვის, სერვის ცენტრისთვის მიმართვა და არჩევანის დაფიქსირება) აირჩიოს ვალდებულებების შესრულების (საკრედიტო პროდუქტების დაფარვის) რიგითობა. თუ აღნიშნულ ვადაში და წესით **კლიენტი** არ ისარგებლებს მისთვის მინიჭებული ზემოაღნიშნული უფლებით, **კლიენტის** ფულადი ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: (I) საკრედიტო ბარათ(ებ)ი, ოვერდრაფტ(ებ)ი, არაუზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (II) მხოლოდ გირავნობით (გარდა ფულადი სახსრების/დეპოზიტის) უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (III) მხოლოდ თავდებობით ან/და საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (IV) უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (V) ფულადი სახსრებით/დეპოზიტით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (VI) სხვა სახის კრედიტ(ებ)ი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, **ბანკი** უფლებამოსილია თავად განსაზღვროს **კლიენტის** ფულად ვალდებულებათა შესრულების რიგითობა.

6. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **კლიენტის** ნებისმიერი ფულადი ვალდებულების შესრულების მიზნით, ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტი** და მასთან დაკავშირებული გადასახდელები) **ბანკმა** დააკავოს **კრედიტის** (**საკრედიტო ბარათის**) **თანხიდან** ან/და ჩამოწეროს **კლიენტის** ნებისმიერი **ანგარიშიდან,** მათ შორის სადეპოზიტო **ანგარიშიდან** (თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის მომენტისთვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტის ანგარიშიდან**) და დაფაროს ფულადი ვალდებულებები. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ **კრედიტის თანხა** სრულად ათვისებულია **კლიენტის** მიერ, **ბანკი** უფლებამოსილია გადასახდელ(ებ)ი დაფაროს **კრედიტის** მოცულობის ცალმხრივად გაზრდის ან **ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტის** დაშვების ხარჯზე.

7. **მხარეები** ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან, **კრედიტის** სრულად დასაფარად საკმარისი **კლიენტის** ფულადი სახსრების **ბანკში** არსებობის ან/და განთავსების შემთხვევაში არ მოხდება **კრედიტის** წინსწრებით (ვადაზე ადრე)

ავტომატურად დაფარვა და **კლიენტის** იცინიატივით **კრედიტის** სრულად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე დაფარვა შესაძლებელია განხორციელდეს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიმართვის საფუძველზე.

8. **ხელშეკრულების** შეწყვეტის (როგორც ვადამდე, ისე **ხელშეკრულების** ვადის გასვლის გამო) შემთხვევაში, **საპროცენტო სარგებლის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** და **პირგასამტეხლოს** დარიცხვა **სრულ დავალიანებაზე** გაგრძელდება/შენარჩუნდება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად და **კლიენტი** ვალდებული იქნება სხვა გადასახდელებთან ერთად **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების ნებაყოფლობით ან/და იძულებით აღსრულების წესით სრულად დაფარვის დროს, **ბანკის** წინაშე ასევე დაფაროს **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემდგომ **სრული დავალიანების** თანხაზე დარიცხული **პირგასამტეხლოს, ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** და **საპროცენტო სარგებლის** თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

9. გადახდევინების მიქცევისას **კლიენტის** რამდენიმე ვადამოსული დავალიანების არსებობისას, **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ვადამოსული დავალიანების გადასახდელების რიგითობა და თანმიმდევრობა.

10. **კლიენტისათვის** ცნობილია, რომ **ბანკი კანონმდებლობით** განსაზღვრული და **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეაგროვებს/დაამუშავებს **კლიენტის** შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის (შემდგომში - **ბიურო**) ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან **კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება **კლიენტის** გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება **ბიუროში** ჩართული მომხმარებლებისათვის **კანონმდებლობით** დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

11. **კლიენტს** გაცნობიერებული აქვს **კანონმდებლობით** გათვალისწინებული უფლებები, რომ **კლიენტის** (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

12. **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე **ხელშეკრულება** ან/და მოთხოვოს **კლიენტს კრედიტის თანხის** (სრულად ან ნაწილობრივ), ასევე მასთან **დაკავშირებული გადასახდელების**, ვადაზე ადრე, დაუყოვნებლივ დაფარვა **კანონმდებლობით,** წინამდებარე **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებით** ან/და **პირობებით** გათვალისწინებულ შემთხვევებში.

13. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ: (ა) თუ **კლიენტის** შემოსავლები **კრედიტის** ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაშია, ასეთ შემთხვევაში კლიენტს გააჩნია სავალუტო რისკები, რაც გულისხმობს, რომ ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა **კრედიტის** შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს; (ბ) **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ფულადი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ შორის კრედიტის ძირითადი თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში **ბანკმა** შესაძლოა მიაქციოს გადახდევინება **კლიენტის**, თავდები პირ(ებ)ის ქონებაზე, ასევე უზრუნველყოფის საშუალებებზე, მათ შორის **ბანკმა** მიმართოს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა (ბ.ა) **კლიენტის**, თავდები პირ(ებ)ის ნებმისმიერი ქონების (მათ შორის, ანგარიშების, ფულადი სახსრების) ასევე უზრუნველყოფის საშუალებების დაყადაღება, შეზღუდვების, აკრძალვების, უფლებრივი ტვირთის გავრცელება; ან/და (ბ.ბ) **კლიენტის**, თავდები პირ(ებ)ის საბანკო ანგარიშებიდან (მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშებიდან) ან/და სხვა ანგარიშებიდან ფულადი სახსრების უაქცეპტო წესით ჩამოწერა; (ბ.გ) **კლიენტის** ან/და თავდები პირ(ებ)ის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების მოთხოვნა. (ბ.დ) მოითხოვოს **კლიენტის** ან/და თავდები პირ(ებ)ის ქონების იძულებითი მართვა (სეკვესტრი).

14. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს **ხელშეკრულების** პირობები. **ხელშეკრულების** მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, **კლიენტის** ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. შეტყობინების ვადების აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება თუ **ხელშეკრულების** ცვლილება: (ა) განპირობებულია **ხელშეკრულებით** წინასწარ განსაზღვრული და **კლიენტის** ქმედებით გამოწვეული გარემოებების დადგომით; ან/და (ბ) ხორციელდება **კლიენტის** სასარგებლოდ, რაზედაც **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ბანკი** თავისუფლდება ასეთი ცვლილებების შესახებ შეტყობინების ვალდებულებისგან; ან/და (გ) არ იწვევს **ხელშეკრულების** მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას ან/და სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის გაზრდას; ან/და (დ) განპირობებულია ინდექსის ცვლილებით (ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში).

15. **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას მიაწოდოს **ხელშეკრულების** პირობების ცვლილებების, ასევე სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შესახებ ინფორმაცია **დაკავშირებული ხელშეკრულების** მხარეებს (მათ შორის **უზრუნველყოფის საშუალების** მესაკუთრეებს, თავდებ პირებს, გარანტორებს და სხვა), ასევე **ხელშეკრულების** სხვა სოლიდარულ მოვალეებს (თანამსესხებლებს).

16. **კლიენტი** გამოხატავს თანხმობას და **ბანკს** ანიჭებს გამოუთხოვად უფლებამოსილებას, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ გადასცეს **ხელშეკრულების** ნებისმიერ **კლიენტს** (თუ რამდენიმე **კლიენტია**), ასევე **დაკავშირებული ხელშეკრულების** მხარეს (იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის და ა.შ ხელშეკრულების მხარეს): (ა) **ხელშეკრულება,** (ბ) **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული დოკუმენტაცია, (გ) **გარემოებების** შესახებ ინფორმაცია, რაც **ბანკის** შეხედულებით შეიძლება გახდეს **ხელშეკრულების** შეწყვეტის საფუძველი, (გ) **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი ვალდებულების და ასევე შესრულებული ფულადი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის **ანგარიშიდან** მიღებული ამონაწერის სახით). გაუგებრობის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტში აღნიშნული პირობა არ ზღუდავს **ბანკს** დაამუშაოს **კონფიდენციალური ინფორმაცია** (მათ შორის პერსონალური ინფორმაცია) და ისარგებლოს იმ უფლებებით, რაც განსაზღვრულია **პირობებით.**

17. **მხარეთა** მიერ წინამდებარე **საკრედიტო ბარათის** ხელშეკრულებაზე თანხმობის გამოხატვით ((მათ შორის **ბანკის** მიერ განსაზღვრული დისტანციური არხების, ინტერნეტ ბანკინგის/მობაილ ბანკინგის ან სხვა არხების საშუალებით ან **კლიენტის** დასახელებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი სმს-ის მეშვეობით მიღებული ლინკის და

მიღებული კოდის (ოტპ კოდი) **ბანკის** თანამშრომლის მიერ პროგრამაში შეყვანის საფუძველზე (კოდი მიეწოდება **კლიენტს** ხსენებული სმს-ის მეშვეობით, **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულების** ლინკთან ერთად)) ასეთ თანხმობას ექნება მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა და შესაბამისად დადებულად ითვლება და ძალაში შედის **ხელშეკრულება**, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან: (ა) **განაცხადი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში); (ბ) წინამდებარე **საკრედიტო ბარათის** ხელშეკრულება; (გ) წინამდებარე **ხელშეკრულების** დანართი **საკრედიტო ბარათის პირობები** (შემდგომში - **პირობები**), რომელიც წარმოადგენს **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულების** დანართს და განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე https://libertybank.ge/ka/agreements/sakredito-barati; (დ) **ბანკში** არსებული **უნივერსალური ანგარიშის მომსახურების პირობები;** და (ე) ნებისმიერი ცვლილებები ან/და დამატებები, რომელიც დაიდო ან მომავალში დაიდება **მხარეთა** შორის **საკრედიტო ბარათის** მოქმედების ფარგლებში.

18. **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებაზე** თანხმობის გამოხატვით **კლიენტი** ადასტურებს, რომ: (ა) ის (**კლიენტი**) სრულად გაცნობილია და ეთანხმება წინამდებარე **ხელშეკრულების თავსართში**, **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებაში** მოცემულ ინფორმაციას და **პირობებს**.

19. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ წინამდებარე **ხელშეკრულების** შესაბამისად **კრედიტის** გაცემის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს **კლიენტის** მიერ **ბანკში ანგარიშის** ფლობა. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს ბანკში** არ გააჩნია **ანგარიში, კრედიტის** გაცემა მოხდება მხოლოდ **ანგარიშის** გახსნის განაცხადზე **კლიენტის** მიერ ხელმოწერისა და შესაბამისი **ანგარიშის** გახსნის შემთხვევაში.

20. თუ თავად წინამდებარე **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მასზე სრულად ვრცელდება **პირობების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება, მათ შორის და არამარტო ტერმინთა განმარტებები, **კლიენტის განცხადებები და გარანტიები**, **კრედიტის თანხით** სარგებლობის, **მხარეთა** პასუხისმგელობის, **მხარეთა** კომუნიკაციის პირობები და სხვა. ამასთან, წინამდებარე **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულების** პირობებსა და **პირობების** ტექსტს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულების** პირობებს.

21. წინამდებარე **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე.**მხარეთა** შეთანხმებით **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში **ხელშეკრულების** ქართულ ენაზე შედგენილ ეგზემპლარს უპირატესობა მიენიჭება **ხელშეკრულების** სხვა ენაზე შედგენილ ეგზემპლარებთან მიმართებაში. ამასთან, **კლიენტისთვის** სახელშეკრულებო პირობებისა და ინფორმაციის მიწოდება, ასევე **კლიენტთან** კომუნიკაცია **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში განხორციელდება ქართულ ან ინგლისურ ან რუსულ ენაზე.

22. წინამდებარე **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **ბანკის** მოთხოვნების მესამე პირისთვის დათმობის (გასხვისების) შემთხვევაში, **ბანკი** აცნობებს **კლიენტს** წერილობით ან ელექტრონული ფოსტით ან ინტერნეტ ბანკით ან მობაილ ბანკით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგზავნილი შეტყობინების გზით არაუგვიანეს 5 (ხუთი) **საბანკო დღის** ვადაში.

23. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს **კანონმდებლობის** შესაბამისად. **მხარეები** თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის საფუძველზე, დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

24. **ბანკის** საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის მისამართია: 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა № 2.

	ბანკი		კლიენტი
	----------		----------

ბანკი/_____/ **კლიენტი**/_____/